საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
9016
F76 №370

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 5 დეკემბერი, 1941 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო

№ 49 (208) ფასი 30 კაპ.

სტალინური კონსტიტუციის დროშით

დედა-სამშობლოს დასაცავად ბრძოლის ველზე გასულ და ერთ ბუმბერაზ სამხედრო ბანაკად ქცეულ საბჭოთა ხალხს ხუთი წელიწადი აშორებს 1936 წლის 5 დეკემბერს—საბჭოთა ხალხის გმირული მატიანის ერთ-ერთი იმ უბრწყინვალეს თარიღს, როცა საბჭოების მერვე სრულიად საკავშირო საგანგებო ყრილობამ, ამხანაგ სტალინის მოხსენების მიხედვით, მიიღო და დაამტკიცა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების კონსტიტუცია.

ეს ძირითადი კანონი, რომელიც გამოსახავს 20 წლის თავდაუზოგველი შრომით და თავდადებული ბრძოლით მოპოებულ უფლებებს საბჭოთა მოქალაქისას, შექმნა და დიდი სტალინის ხელით დასწერა თვით საბჭოთა ხალხმა და მანვე უწოდა მას სტალინური კონსტიტუცია, რადგან სტალინი იყო მასში აღბეჭდილ უდიდეს ისტორიულ გამარჯვებათა შთამგონებელი და ორგანიზატორი.

დღეს, რუსი და უკრაინელი, ბელორუსი და ლიტველი, კარელიელი და მოლდაველი, უზბეკი და აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი, სისხლს ღვრიან რა სამშობლოსათვის, მისი დღეგრძელობისათვის, იცავენ თავიანთ სტალინურ კონსტიტუციას, რადგან არ არსებობს არც ერთი ამ ერის მერმისი და ბედნიერება ამ კონსტიტუციის გარეშე, რადგან მხოლოდ ეს კონსტიტუცია ანიჭებს ყველა ეროვნების ხალხს უფლებას იყოს თავისი ბედიღბლის პატრონი და გამგებელი, მხოლოდ ის უზრუნველჰყოფს ხალხთა ძმობას და თანასწორობას, მხოლოდ ის ანიჭებს ყველა მოქალაქეს უფლებას შრომაზე, უფლებას სწავლა-განათლებაზე, უფლებას დასვენებაზე და მატერიალურ უზრუნველობაზე მოხუცების გამო. მხოლოდ ეს კონსტიტუცია სპობს ინტერესთა ყოველგვარ წინააღმდეგობას გლეხს, მუშასა და ინტელიგენტს შორის, მხოლოდ სტალინური კონსტიტუცია ანხორციელებს ყოველსავე იმას, რაზედაც ოცნებობდნენ ყველა ეპოქის მოწინავე მოაზროვნენი და რაც ბევრს მათგანს მიუღწეველ იდეალად მიაჩნდა.

ხუთი წლის წინათ ეს ხორცსხმული იდეალი, როგორც დროშა, აღიმართა ჩვენს პლანეტაზე, დანერგა რა ბედნიერი მომავლის რწმენა და სოციალურ-ნაციონალური თავისუფლების იმედი მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა გულში.

მეორეს მხრით, სტალინური კონსტიტუციის მზის სინათლეზე უფრო მკვეთრად გამოჩნდა ფაშისტური „ახალი წესრიგის“ ველურობა და ბარბაროსობა, მშრომელთა დაუნდობელი ძარცვა-გლეჯის, ერთა დამონებისა და მოსპობის მგლური ფაშისტური კანონი. ამ მზის სინათლემ შეაშფოთა და დაათრთხო ნაცისტური ბნელეთი, რადგან წყვდიადში შობილნი და აღზრდილნი ფაშისტი ქვეწარმავალნი ვერ უძლებენ მის ბრწყინვალებას. ამიტომ იყო, რომ მტაცებელი ნადირის კბილთა ღრჭენით, გესლისა და შხამის ნთხევით, გაბოროტებული ცილისწამებით შეხვდნენ ფაშისტები სტალინური კონსტიტუციის გამოქვეყნებას. სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ აყვავებული ქვეყნის ძლიერების ზრდით შეძრწუნებული გერმანელი კანიბალები იარაღდებოდნენ, მახვილს ლესავდნენ, რათა ამხედრებულიყვნენ ახალი ქვეყნის ძლევამოსილების წინააღმდეგ, და უკუნეთი გაევრცელებინათ შინ და გარეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში და მთელს დედამიწაზე.

ორი წლის წინათ წყვდიადი დაიძრა სინათლის ჩასაქრობად. მოიცვა რა მთელი დასავლეთი ევროპა, დღეს იგი ლამობს გავრცელდეს ჩვენს მიწა-წყალზე .მოდის და მოაქვს ყველა ის უმსგავსოება, რაც რამდენიმე ასი წლის წინათ უკუ უგდია კაცობრიობას. მოდის და სპობს, ფეხქვეშ სთელავს არა მარტო შრომისა და განათლების უფლებებს, იგი არა მარტო გერმანელ ბარონთა უღელში აბამს საბჭოთა გლეხობას, არამედ ფიზიკურად ანადგურებს მთელ ხალხს, არ ინდობს არც დიდს, არც პატარას, არც ქალს, არც მოხუცს. საბჭოთა ხალხი გმირულად უმკლავდება ამ შავ ძალას და რაც უფრო მატულობს თანამედროვე ჩინგისყაენთა დაუნდობლობა და გაათრება, მით უფრო მტკიცდება საბჭოთა პატრიოტი ადამიანის გადაწყვეტილება—თავგანწირულად ბრძოლოს თავის სამშობლოსათვის, თავის სტალინური კონსტიტუციისათვის.

სტალინური კონსტიტუცია დღეს მოწინავე კაცობრიობის დროშაა. იმავე დროს იგი შესანიშნავი იარაღიც არის მტრის შესამუსრად და გასანადგურებლად.

— ჩვენი შეიარაღების დიდებულ არსენალში ახლა შევა სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციაც, — სთქვა ამ ხუთი წლის წინათ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში, და მისი ეს სიტყვები სინამდვილედ იქცნენ:

კონსტიტუცია, რომელიც ამყარებს ნამდვილ თავისუფლებას, ხალხთა, ერთა და რასათა ნამდვილ თანასწორობას, კონსტიტუცია, რომელიც საკანონმდებლო წესით ჰქმნის ყველა პირობას კულტურის აღმავლობისა და სოციალისტური კოლექტივის წევრთა ჰარმონიული განვითარებისათვის, — ასეთი კონსტიტუცია და ამ კონსტიტუციით შეიარაღებული ხალხი გამანადგურებელ, სასიკვდილო ლახვარს ჩასცემენ ყოველი ცოცხალი აზრის მკვლელს, მილიონების სისხლში ამოსვრილ ფაშიზმს და მის ურდოებს.

ფიცი

სანდრო ეული

გვახსოვს დღეები, იგი დღეები,
ყველა დღეებში გამორჩეული...
გვახსოვს დროშათა ხშირი ტყეები,
მედროშე გმირი, ბრძოლას ჩვეული,

მტერთა ბუნაგი—ზამთრის სასახლე
და პეტროგრადის ფართო ქუჩების
შეუპოვარი, მრისხანე სახე...
დევნა, სასჯელი ყველა „ურჩების“,

ვინც ძველ სამყაროს გადასდგომოდა
ვისაც უფეთქდა ბრძოლაში გული,
ვისაც რწმენა და იმედი ჰქონდა,
სულის სიღრმიდან ამორკინული...

ორი ბელადი, ორი სარდალი,
მაშინ სარდლობდნენ აჯანყებულებს,
სხვა არ გვყოლია მათი ბადალი,
მტერთან პირისპირ დაჯახებულებს.

ორი სახელი ერთ დროშად იქცა, —
ლენინ-სტალინის წმინდა სახელი, —
ჩვენმა ქვეყანამ მათ ფიცი მისცა,
დიადი რწმენის გამომსახველი...

აზღვავდა ხალხი, რისხვით მღელვარე,
რომ მტვრად ექცია ძველი სამყარო,
მოგვეცა სიცოცხლე მზემ მოელვარემ
და ეს ქვეყანა სიამის წყაროდ.

და ისეთივე ეს ფიცი დღესაც.
ყველა ჩვენგანის წესად გამხდარა,
მისი სიმტკიცე დაამსხვრევს კლდესაც,
ჩვენში არასდროს ის არ გამტყდარა!

ვფიცავთ სიცოცხლეს ტკბილზე უტკბილესს
(მასზე ძვირფასი რა უნდა იყოს?), —
მოკვდეს, ვინაც მტერს თვალს არ უტირებს
და სისხლი მტრისგან ვინც არ აიღოს.

ვფიცავთ დიადი რწმენის ანთებას
(რაა სიცოცხლე რწმენის გარეშე?),
მტერს არ ვაღირსებთ დღის გათენებას
და იგი ჩვენში ვერ ითარეშებს...

ვფიცავთ ბელადის ბრწყინვალე სახეს
და სიმაყეს სამშობლო დედის,
ვფიცავთ მზესავით ნათელს მის სახელს
და მოკაშკაშე ვარსკვლავს იმედის,

არ შევდრკეთ! დაე, სისხლი იღვაროს,
ქვეყანამ მსხვერპლი უნდა გაიღოს,
მხოლოდ სამშობლომ ჩვენმა იხაროს,
მხოლოდ ბელადი დღეგრძელი იყოს!

ახალგაზრდობავ, გვიხმობს ბელადი!

დავით გაჩეჩილაძე

შენ სიხარულის ქვეყანამ გზარდა,
გუშინ ამინდიც იყო სხვაფერი,
და მშობლიური ალერსის გარდა,
არ განგიცდია სხვა არაფერი.
შენ ბაღს და ჩიტებს უღებდი სარკმელს
და უმშვენესი გრძნობით ღელავდი.
დღეს სამამულო დიდ ბრძოლისაკენ,
ახალგაზრდობავ, გვიხმობს ბელადი,
ხმა მშობლიური გვეძახის მისი, —
მამის ამაგი ვინ დაივიწყა!
ხედავთ? ვერაგებს მოურწყავთ სისხლით
ყვავილების და ოცნების მიწა,
ის მიწა, სადაც ჩვენი და-ძმობა
აცისკრებული მღეროდა ლხენით...
ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობავ!
დღეს ქუხილია სიმღერა შენი.
დღეს იმ თითებით, წიგნს რომ ფურცლავდი,
მრისხანე ხმალი მაღლა აღმართე
და მისი ელვით, შორ ბურუსამდი,
მტრის მინდორ-ველებს გადაანათე...
შენ ბრძოლის ქარი სულ წინ გიტაცებს,
დიდ უფლებათა ქარტიას იცავ;
შენ შეეჩვიე ბრძოლის სიმკაცრეს,
და უძლეველს გხდის სამშობლოს მიწა.
გრგვინავ, მტრებისთვის არ ზოგავ ტყვიას,
ქაშხანის ბოლმა ველი მონისლა;
შეჰხვდით, ებრძოლეთ წამოსულ წყვდიადს
როგორც სხივები ალიონისა.
და თუ ციმციმით სხივი დაეცა,
ის არ ჩაქრება უკუნისამდი,
ის ფესვს გაიდგამს უუკვდავესად
და ნასხივარზე იფეთქებს ვარდი.
ამოვა, წითლად დაიწყებს ლივლივს,
უმანკო ნამით ტან-დაცვარული.
შენი სახელი მიწაზე ივლის,
როგორც სიმღერა და სიხარული.
არ წაიშლება ის სისხლის ზოლი,
რომ დაეღვარა მინდვრის ბალახებს..
ო, სიჭაბუკე სულია ბრძოლის
და გამარჯვების სუნთქვა ალაღებს.
მტერს დასძლევს გმირი, ველზე გასული,—
აქ წინაპარსაც გმირად უვლია.
ახალგაზრდობა აჯვარასხმული, —
ჩვენი სამშობლო სიყვარულია!

ცოცხლობს, მოგვიწოდებს, მიგვიძღვის!



ეხლა, როცა ჩვენი სამშობლო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავს კაცობრიობის მტერს, რატომ არ არის ჩვენს შორის სერგეი მირონიჩი, რატომ არ გვესმის დიდი ტრიბუნის მომწოდებელი ხმა, რატომ არ მიგვიძღვის წინ ეს უშიშარი ბოლშევიკი, ეს დიდი მოქალაქე, უერთგულესი მეგობარი და თანამებრძოლი სტალინისა? ვინ იცის, რამდენი მეომრის გულში გაიელვა ამ ფიქრმა, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავდა საყვარელ მირონიჩის დაღუპვის შვიდი წლისთავს.

სერგეი მირონის-ძე კიროვი ერთი იმათგანი იყო, რომელიც ახალი კლასის ნებისყოფას ანსახიერებდა. მისი ბიოგრაფია პარტიის ისტორიის ფურცლებია. მის სახეს ბელადისას, სახალხო ტრიბუნისას, სათუთი ამხანაგისას და შესანიშნავი ადამიანისას გულში ატარებს სოციალიზმის ქვეყნის ყველა პატრიოტი, ამიტომაც ეხლა, როცა ყველაზე მეტად გვესაჭიროება კიროვისებური მაღალი იდეური და მორალური თვისებები, ბუნებრივია, თუ მას იგონებს ყოველი ჩვენგანი, როგორც ამ თვისებათა ცოცხალ განსახიერებას.

მირონიჩის ბოლშევიკური სიმტკიცის და გაუტეხელი ნებისყოფისა ეშინოდა საბჭოთა ქვეყნის მოსისხლე მტერს. ამიტომ იყო, რომ ფაშისტების მეხუთე კოლონამ — ტროცკისტ-ზინოვიეველთა ბანდამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის შიგნით ამზადებდა ფაშისტური ურდოების თავდასხმას ჩვენს სამშობლოზე, გაჰგმირა მირონიჩი სწორედ იმ მიზნით, რომ საბჭოთა ხალხს განსაცდელის დღეებში არ ჰყოლოდა ერთ-ერთი თავისი უნიჭიერესი და გამობრძმედილი წინამძღოლი.

საბჭოთა ხალხს წრფელი გულით უყვარდა, სწამდა და უყოყმანოთ მიჰყვებოდა სერგეი მირონიჩს, რადგან მან თავისი დაუცხრომელი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ის იყო იმ მოდგმის ბოლშევიკი, რომელიც აღზარდეს და გამოაწრთეს ლენინმა და სტალინმა.

ეს კიროვი იყო, 1919 წელს პარტიის დავალებით ასტრახანს რომ ჩავიდა, შექმნა მე-11 არმია, დაამყარა კავშირი ფრონტისპირა რაიონებთან—თერგთან და ბაქოსთან. ეს კიროვი იყო, ასტრახანი რომ ბოლშევიზმის აუღებელ ციხე-სიმაგრედ აქცია, ხოლო ვოლგის შესართავი გახადა სამოქალაქო ომის ისეთ უბნად, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ცარიცინის თავდაცვის საქმეში და რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია პარტიული ძალების დარაზმვის საქმეზე ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს კიროვი იყო, პროლეტარიატის ციტადელში—ბაქოში მტკიცე საფუძველი რომ დაუდვა ნავთის მრეწველობის აყვავებას, სთვლიდა რა ნავთს არა მარტო შინაური პოლიტიკის საკითხად, არამედ დიდ საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემად, ყოველი სახის ინტერვენტებზე ჩვენი სამხედრო გამარჯვების პრობლემად.

ჩვენი კიროვი იყო ის დიდი ბოლშევიკი, რომელმაც ლენინის ქალაქში მოაწყო ტროცკისტ-ზინოვიეველ მოღალატეთა სრული და დაუნდობელი განადგურება. კიროვი იყო ის დიდი მშენებელი, რომელმაც შექმნა ახალი ლენინგრადი და მრავალი სამრეწველო ცენტრი ლენინგრადის ოლქში. არა მარტო საბჭოთა ჩრდილოეთში,—არ არის არც ერთი კუთხე ჩვენი დიდი სამშობლოსი, რომლის სამეურნეო თუ კულტურული წარმატება დაკავშირებული არ იყოს მირონიჩის სახელთან. იგი არ არის ცოცხალთა შორის, მაგრამ ყოველდღე გვესმის მისი სასიქადულო სახელი, გამრავლდა მისი სახელი, მას ატარებენ ჩვენი ქალაქები, ჩვენი ქარხნები, ელექტროსადგურები, კოლმეურნეობები, სკოლები. იგი არ არის ეხლა ჩვენს შორის, საყვარელ სამშობლოს თავდადებულ დამცველთა შორის, მაგრამ ყოველი ახალგაზრდა მეომარი, ყოველი პატრიოტი, რომელიც სამამულო ომში მონაწილეობით იწყებს თავის ბიოგრაფიას, ნატრობს და ამბობს, რომ მინდა ვიყო ისეთი, როგორიც იყო კიროვიო.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მირონიჩი ცოცხლობს, მოგვიწოდებს და მიგვიძღვის სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

ვ. წულუკიძე.

მწერალთა მოქნილი შემოქმედებითი მუშაობისათვის

ორი დღეს გაგრძელდა მწერალთა აქტივის კრება, რომელიც 29 ნოემბერს გაიხსნა და რომელმაც განიხილა ერთი საკითხი — რა ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს მწერალთა შემოქმედებითი აქტივობა, რომ მწერალთა კოლექტივი თავისი კალმით უფრო ნაყოფიერად ემსახუროს დიდ სამამულო ომს.

მომხსენებელმა ამხ. ირაკლი აბაშიძემ აღნიშნა, რომ მწერლობა პირველ დღიდანვე ჩადგა ამ დიადი განმათავისუფლებელი ომის სამსახურში, რომ არ დარჩენილა ჩვენი ორგანიზაციის თითქმის არც ერთი აქტიური წევრი, რომელსაც თავისი შემოქმედების ერთად-ერთ საგნად არ გაეხადოს ხელის შეწყობა იმ დიდი ბრძოლისათვის, რომელსაც საბჭოთა ხალხი სამშობლოსა და კულტურის გადასარჩენად აწარმოებს. მაგრამ ის, რაც დღემდე გაკეთდა ამ მიმართულებით, დღეს უკვე დამაკმაყოფილებელი არ არის. მწერლის მუშაობა უფრო მოქნილი და ელასტიური უნდა გახდეს. ხალხში გაიზარდა მოთხოვნილება სამამულო ომისადმი მიძღვნილ მხატვრულ პროდუქციაზე. მკითხველი საჭიროებს მოკლე და სხარტ ნაწარმოებს — ნამდვილი პატრიოტული მგზნებარებით გამსჭვალულ ლექსს და მოთხრობას, ნარკვევს და პუბლიცისტურ წერილს საბჭოთა ხალხის გმირობაზე როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. მკითხველი მოითხოვს იუმორს, სატირას, ფელეტონს, რომელთაც გამოაქვთ მზის სინათლეზე მტრის იდეურ-მორალური უბადრუკობა და ამით აძლიერებენ მასებში სიძულვილს ფაშისტ გარეწარებისადმი. ყველა მწერალი უნდა ცდილობდეს მოიმარჯვოს მხატვრული შემოქმედების ისეთი ფორმა თუ ჟანრი, რომელიც დღეს უფრო მეტ ეფექტს და მეტ ნაყოფს იძლევა. ყოველი ჩვენგანი ზუსტად და დროზე უნდა ასრულებდეს დაკვეთას, რომელსაც დღევანდელი დაძაბული მომენტი გვიკარნახებს. თავისი დღევანდელი მუშაობით მწერალი უნდა დაემსგავსოს წარმოების მუშას, რომელიც დღეს აორკეცებს და ასამკეცებს თავის ნაყოფიერებას და მუშაობის ტემპებს.

მოხსენებამ გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. ილაპარაკეს: ს. ჩიქოვანმა, ს. ეულმა, ლევან ასათიანმა, პ. კეშელავამ, ვ. წულუკიძემ, ლ. ავალიანმა, ლადო ასათიანმა, ს. შანშიაშვილმა, ალ. ქეიშვილმა, აკ. გაწერელიამ, აკ. ბელიაშვილმა, რ. გვეტაძემ, კ. გამსახურდიამ და ბ. ჟღენტმა.

ზოგიერთმა ამ ამხანაგებიდან ილაპარაკა იმაზე, თუ რაზე მუშაობს და ან რა შეუძლია გააკეთოს იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც მწერლობას უსახავს სამამულო ომი.

ორატორებმა მოითხოვეს, რომ მწერალთა კავშირის ყველა წევრი სრული დატვირთვით იქნას გამოყენებული არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც პროპაგანდისტი და აგიტატორი, როგორც მომხსენებელი და ლექტორი სამამულო ომის და საერთაშორისო ვითარების საკითხებზე. მწერლებმა საჭიროდ სცნეს, რომ თვით ჩვენი კლუბი გადაიქცეს ერთ დიდ სააგიტაციო-საპროპაგანდო პუნქტად, სადაც მწერლები შეხვდებიან ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მუშაკებს, მათთან ერთად იმსჯელებენ მომენტის მიერ წამოჭრილ საკითხებზე და ერთმანეთთან თანამშრომლობით გამონახავენ სააგიტაციო მუშაობის ახალ ფორმებს. ორატორები საჭიროთ სცნობენ აგრეთვე, გაძლიერდეს მწერალთა მუშაობა რადიოში, რომელიც ამჟამად უამრავ მხატვრულ მასალას მოითხოვს. იგივე უნდა ითქვას ესტრადაზე, რომელიც იმის გამო, რომ მწერლები მისგან შორს დგანან, იძულებული ხდება დაკმაყოფილდეს დაბალხარისხოვანი და ნაკლებ-ეფექტიური საესტრადო მასალით. მწერლები უჩიოდნენ თბილისის კინოსტუდიას, რომლის ხელმძღვანელებმა დღემდე ვერ გამონახეს ქართველი მწერლობის დიდ ნაწილთან აქტიური შემოქმედებითი თანამშრომლობის ფორმები. ჩვენი აკადემიური თეატრებიც, ორატორთა აზრით, საკმაოდ ვერ იყენებენ ჩვენი მწერლების შესაძლებლობას ახალ დრამატიულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

ორატორთა მიერ დასახულ იქნა მრავალი ღონისძიება, რომელთაც უნდა აამაღლონ ჩვენი ლიტერატურულ-პოლიტიკური პრესისთვის დანიშნულ მცირე ფორმის ნაწარმოებთა ხარისხი. ამხ. რ. გვეტაძის განცხადების თანახმად, გამომცემლობა „ფედერაციას“ მოეპოვება მატერიალური საშუალებანი, რომ სწრაფად და თავის დროზე ბროშურების სახით გამოსცეს მთელი ის პროდუქცია, რომელსაც ქართველ მწერალთა კოლექტივი შეჰქმნის. გამოცემის მხრივ არავითარი დაბრკოლება არ იქნება, ოღონდ მწერლებმა იმუშაონ ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს.

ამხ. სანდრო ეულმა ილაპარაკა მწერალთა სამხედრო მომზადებაზე, რომელმაც სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო.

თათბირზე გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით, კონკრეტულ ღონისძიებათა დასამუშავებლად აქტივის კრებამ გამოჰყო კომისია ხუთი მწერლის შემადგენლობით.

მწერლები სოფლად

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ 28 ნოემბერს და 1 დეკემბერს თბილისის რაიონის განათლების განყოფილების კულტსახლთან ერთად მოაწყო ანტიფაშისტური საღამოები სოფელ დიღომსა და მარტყოფში. მთელი შემოსავალი შეტანილ იქნა თავდაცვის სახალხო ფონდში. მოხსენებით გამოვიდნენ შალვა დადიანი და სიმონ წვერავა. საღამოებში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა გერონტი ქიქოძემ, სიმონ ჩიქოვანმა, კარლო კალაძემ, ალ. ქუთათელმა, კონსტ. ჭიჭინაძემ, იაკინთე ლისაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, სოლომონ თავაძემ, ვიქტორ გაბესკირიამ, პ. სიმონოვმა, კალე ბობოხიძემ, გ. ქაჯაიაძემ, ანდრო თევზაძემ, ალეკო შენგელიამ და მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობებმა — ვასო გოძიაშვილმა, კაკო კვანტალიანმა და ალ. გომელაურმა.

საღამოებმა დიდის წარმატებით ჩაიარეს.

როსტოვის გამარჯვება

გერონტი ქიქოძე

იმ დიდმა ხანძარმა, რომელიც გერმანელ ფაშისტებმა ამ ორი წელიწად ნახევრის წინათ პოლონეთში დაანთეს, რათა შემდეგ ის ფლანდრიის და შამპანის ველებისკენ გადაესროლათ, საშინელი ზომა მიიღო, როცა ის ხელახლა აღმოსავლეთისკენ გადმოვარდა და უკრაინის და რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებს მოედო. ხუთი თვის განმავლობაში ომის ცეცხლი თანდათან უფრო მძვინვარე ხდებოდა, ბოლოს მან დონს მიაღწია სამხრეთის მიმართულებით. დონის ხაზის დაჭერას, მით უმეტეს მის გადალახვას გერმანელი ფაშისტები სრულიად სამართლიანად, უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ. თუ ისინი აქ გაიმარჯვებდნენ, საბჭოთა ჯარებს ფეხის მოსაკიდებელი და თავის შესამაგრებელი ბუნებრივი ხაზი აღარ ექნებოდათ მდინარე ვოლგასა და კასპიის ზღვამდე, ველიკორუსეთი და კავკასია გაითიშებოდა, ხოლო გერმანელებს გზა გაეხსნებოდათ ბაქოს ნავთის წყაროებისაკენ. ეს უდიდესი საფრთხე იქნებოდა არა მარტო საბჭოთა კავშირისა, არამედ მისი თანამებრძოლისა, ბრიტანეთის იმპერიისთვისაც, რომლის უმნიშვნელოვანესი სამფლობელოები თითქმის უშუალოდ ესაზღვრებიან კასპიის ზღვის ბასეინს და ხელმისაწვდომი არიან ბაქოდან. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ გერმანიის უმაღლესმა სამხედრო სარდლობამ როსტოვის მიმართულებით თავი მოუყარა თავის საუკეთესო მექანიზირებულ დივიზიებს და მის ხელმძღვანელად სატანკო ბრძოლის საუკეთესო თეორეტიკოსი და ოსტატი გენერალი კლეისტი დანიშნა.

როდესაც ნაპოლეონი 1812 წელს რუსეთში შემოიჭრა, ის ოცნებობდა, რომ მოსკოვის დაჭერისა და რუსის ჯარის განადგურების შემდეგ თბილისში შემოვიდოდა და აქედან პირდაპირ ინდოეთისკენ გაილაშქრებდა, რომელსაც მან 1798-1799 წლებში ვერ მიაღწია ეგვიპტის და სირიის გზით. რადგან ჰიტლერი უფრო პოზიტიურ საუკუნეში ცხოვრობს, ვიდრე ნაპოლეონი ცხოვრობდა და ნაკლებ გმირული ტემპერამენტითა და ნაკლებ პოეტური ფანტაზიითაა აღჭურვილი, მის ოცნებას გამაღვივებელი მასალა აჭირდება და ის პროზაული ნავთითა და ბენზინით ფიქრობდა დაღლილი და სისხლგაყინული ჯარისკაცების აღფრთოვანებას, რომელთაც ნაპოლეონი შთამაგონებელი მოწოდებებით აღელვებდა.

როსტოვის აღებამ თითქო რეალური საფუძველი მისცა გერმანელების ოცნებას. მათ ეგონათ, რომ კავკასიის კარიბჭე შეაღეს, მაგრამ გერმანელი გენერალი კლეისტის და რუსი სოვდაგარი პანოვის რომანი ხანმოკლე აღმოჩნდა, ორი დღის შემდეგ მას ბოლო მოუღო საბჭოთა ჯარების შეტევამ ხარიტონოვის, რემიზოვის, ლემინის, ოზიმინის და სხვა სახელოვანი სარდლების მეთაურობით. გერმანელები სწრაფი ნაბიჯით უკან იხევენ ტაგანროგისაკენ, მათ ფეხდაფეხ მისდევენ საბჭოთა დივიზიები და თავის შემაგრების შესაძლებლობას არ აძლევენ.

თანამედროვე დიდ ომში ბევრი არ ყოფილა ისეთი ეპიზოდი, რომელიც თავის პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობით როსტოვის ბრძოლას შეედრებოდეს. აქ დაინისლა ის უძლეველობის შარავანდედი, რომლითაც ფაშისტური გერმანიის არმია იყო მოსილი. აბისინიაში, ლიბიის უდაბნოში, ხმელთაშუა ზღვაზე ინგლისელების მთავარ მოწინააღმდეგეს იტალიის ჯარი და ფლოტი წარმოადგენდა. გერმანელმა მეომარმა, თავსგასულმა მრავალი გამარჯვებით, დონის ნაპირას განიცადა მწვავე და ძნელად ასანაზღაურებელი დამარცხება.

მდინარე დონი კლასიკური ეპოქის გეოგრაფების ტანაისი, ძველად ევროპის და აზიის მიჯნად ითვლებოდა და მის ხეობაში და მოსაზღვრე ტრამალებზე სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაში ერთმანეთს ეჯახებოდნენ მრავალრიცხოვანი და ძლიერი ტომები, რომელთაგან დღეს მხოლოდ მახსოვრობა დარჩა. ამ თვალუწვდენელ ველებზე, სადაც დღეს გერმანელთა მანქანების ხრიალი გაისმის, ერთ დროს სკვითების, სარმატების, პოლოვცების, ალანების, გუთების, თათრების ჯოგების ბღავილი და ცხენების ჭიხვინი გაისმოდა. მაგრამ მათ სასაფლაო ჰპოვეს აქ და მათი არსებობის ერთად ერთ ძეგლს მათ მიერ დატოვებული ყურგანები და დოლმენები წარმოადგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა სიყვარულზე

ანდრო ლომიძე

მდინარეზე მტრის ხომალდი მიცურავდა. ხომალდიდან სროლა აუტეხეს თვითმფრინავს. სროლა ასტეხეს ნაპირებიდანაც. ყუმბარმშენმა პირველივე ყუმბარით ჩასძირა ხომალდი. ყუმბარმშენს კაპიტანი ლონგინოზ ჯაბადარი მართავდა.

თვითმფრინავს კვლავ გააფთრებით დაუშინეს. ჰაერი გაშავდა. ჯაბადარს მკლავში ყუმბარის ნამსხვრევი შეესო.

მარჯვენა მკლავი უდუნდებოდა, სტკიოდა. მაინც ულიმოდა ცის ლაჟვარდს, მზეს. გამარჯვებული ბრუნდებოდა.

* * *

„ვინ იცის, რამდენ ხანს მომიხდება საავადმყოფოში წოლა", — ფიქრობდა ლონგინოზ ჯაბადარი და ჯავრობდა.

მარჯვენა მკლავის ძვალი გაბზარული ჰქონდა. სტეხდა.

შეღამებისას, როცა სავსე მთვარემ პალატის სარკმელში შეანათა, ტკივილი დაუამდა.

ჯაბადართან უფროსი ექიმი მივიდა. თვალები გაუფართოვდა სიხარულისაგან.

ერთმანეთი გადაჰკოცნეს სიყრმის მეგობრებმა.

— ამ ათიოდე წლის წინათ, ფოთი რომ დავტოვე, წყალზე მაშველი იყავი. როგორ გახდი მფრინავი? შენი გვარი და სახელი ბევრჯერ გამიგონია, მაგრამ შენი სეხნია მეგონა.

ექიმი სკამზე ჩამოჯდა.

— ცუდად თუ არა გრძნობ თავს, მომიყევი შენი ცხოვრების ამბავი. მახსოვს, ბევრს კითხულობდი, მწერლობაზე ოცნებობდი, მაგრამ სად მწერლობა და სად ავიაცია?

ჯაბადარს უხერხულად ჩაეცინა.

— ხომ გახსოვს თინა?

— მახსოვს, ექიმი, ორდენოსანი...

— მიყვარდა... — აქეთ-იქით გაიხედა, ყურს არ მიგდებდეს ვინმეო, და უამბო:

„ზაფხული იყო, ნაბადაში ზენაქარი არწევდა ალვის ხეებს, ზღვის პირიდან იტაცებდა მზით გახურებულ სილას და ზღვაზე აპნევდა. სილის მარცვლები მეკობრეებივით ეცემოდნენ ტანმორჩილ ზვირთებს. თოლიები მოწმენდილ ცაში დანავარდობდნენ. ეშურებოდნენ ნაპირს, მაგრამ ურჩი ქარი მათ თეთრ მკერდს ეხეთქებოდა და რაღაცას ბუტბუტებდა. თოლიები თეთრქოჩორა ზვირთებზე ეშვებოდნენ და უჩინარდებოდნენ.

ქოლგის ჩრდილში წამოწოლილი თვალს ვადევნებდი მობანავეთ. ვუმზერდი თინას. მკერდამდე ზღვაში შესული ცელქობდა იგი პირმშვენიერი და ახალგაზრდა. ხან სახეს და თეთრ, სავსე ტანს ზვირთებში მალავდა, და მაშინ მისი წაბლისფერი, ხუჭუჭი, ზღვით დაწინწკლული თმები ჩამავალი მზის სხივებში ათასფრად ელვარებდა, თითქო მამალი ხოხობი ცურავდა ზღვაზე. ხან ამოვარდებოდა და წყალს უბერავდა, აქაფებდა. და მეჩვენებოდა, რომ ზღვის ქაფი კი არა, ჩაის ვარდის ფოთოლი იყო, თინას ტუჩებთან ლურჯ წყალს რომ ეფინებოდა და ლივლივებდა.

უცებ მკლავები ზევით ასწია თინამ და კივილი მორთო. მას სხვა ქალებიც შეუერთდნენ. ვიტანჯებოდი, რომ რაღაც ხიფათი შეემთხვა; თანაც მიხაროდა: დახმარებას აღმოვუჩენდი, გავიცნობდი.

ლონიერი მუხლებით წყალს მივარღვევდი.

გაფითრებულმა თინამ ხელით მანიშნა ქვეითკენ, იქითკენ, სადაც გამალებით მოძრაობდა წყალი. ზღვის კატას ბარძაყში ღრმად ჩაერჭო ძვლის, ხერხისებური, შხამიანი ბოლო და განთავისუფლებას ცდილობდა. ბარძაყიდან ამოვგლიჯე ბოლო და კატა ნაპირისაკენ ვისროლე.

სათუთად ავიყვანე თინა. კისერზე რბილად შემომხვია ხელი, თავი მხარზე დამაყრდნო და გულს შემოეყარა. ჭრილობიდან სისხლი სდიოდა. თუმცა ვიცოდი, საჭირო იყო სასწრაფო დახმარება, მაგრამ მაინც მივტოპავდი ზანტად. წკრიალებდა გულში ლილისფერი ჩონგური, — თინა მიმყავდა როგორც სიმღერა სიყვარულისა. ვნატრობდი: უსაზღვროდ შორს ყოფილიყო ნაპირი და ასე ერთად, სიმღერით, დაუსრულებლად გვევლო უკვდავებსა და ახალგაზრდებს.

ჭრილობა შევუხვიე. ავტომობილი გამოვიძახეთ. თინა იმ საავადმყოფოსაკენ გააქროლეს, სადაც თავათ მსახურობდა ექიმად. როცა ავტომობილი ქუჩის მოსახვევს მიეფარა, ისევ წამოვწექი სილაზე.

ბავშვები შიშველ, ძალზე მსუქან დედაკაცს აბრაზებდნენ: სველ სილას ესროდნენ. დედაკაცი იწყევლებოდა, ბავშვებისაკენ იწევდა, მაგრამ ისინი ყვინთავდნენ და იმალებოდნენ. დედაკაცი ჩემსკენ იყურებოდა, მანიშნებდა ცელქებზე, მაგრამ ვსდუმდი და ვიღიმებოდი ჩემთვის.

* * *

იმ საღამოს ვინახულე თინა. პალატაში რომ შევედი, დავბარბაცდი. ვიგრძენი, რაღაც საშინელება მომხდარიყო. ელნათურის მკრთალი შუქი ირხეოდა თინას სხეულზე დაყრილ იებსა და იასამნებზე. მივიხედ-მოვიხედე გაკვირვებით. „ალბათ, ამ მცირე ხნის წინათ გარდაიცვალა და საცაა წაიღებენ განსვენებულს",—ტვინში ყინულივით ჩამეჭედა ფიქრი და წინ ნაბიჯი ძლივს გადავდგი.

— თინა! — აღმომხდა, როცა თავი ჩემსკენ მოაბრუნა. სწრაფად მივუახლოვდი. თეთრ, თხელ ზეწარზე იები და იასამნები იყო ამოქარგული.

მის ღრმა, თაფლისფერ თვალებში ალერსი ინთებოდა.

გრძელ წამწამებს ახამხამებდა ხშირად. სთვლემდა. მიზიდავდნენ და მალელვებდნენ თვალები — სიყვარულის მტანჯველი პოემა და წამწამები — შავი ხავერდის ყდები.

ბალიშის ქვეშ ამოდებულ კონვერტზე ჩემი სახელი შევნიშნე. სასთუმალთან დავდგი სკამი, კონვერტი ფრთხილად გამოვაცოცე და ჯიბეში ჩავიდე. ვერ ვისვენებდი, ცნობისმოყვარეობა მტანჯავდა. გამოვემშვიდობე. საავადმყოფოდან გამოველ, კონვერტი ამოვიღე და ელნათურის შუქზე წავიკითხე: „ლონგი ზამბახი..." გესმის? სიტყვა „ზამბახი". შემდეგ რამდენიმე ასოზე მელანი იყო დაღვრილი. მერე კონვერტიდან ბარათი ამოვაფრინე და გავშალე. „საყვარელო ლონგი! — იწერებოდა თინა. — სიყვარული?! ეს შენივე გულია, ვარსკვლავიან, მზიან უსაზღვროებად გაშლილი და ხან სევდიანად, ხან კი აღფრთოვანებით აგალობებული. და რომ არ უყვარდე კიდევაც, მაინც მადლობის ღირსია ის ადამიანი, შენში რომ იწვევს ამ განცდებს. ექვსი თვეა, რაც ამ ქალაქში ვმუშაობ. ბედნიერი ვარ. შენი მოლისფერი თვალები მეზმანება დღისით და ღამით". დაახლოებით ეს მახსოვს იმ ბარათიდან.

თითები ამითრთოლდა მაშინ, წერილი კინაღამ ქარმა წამართვა. თინას ნაწერს რამდენჯერმე ვაკოცე და უბეში შევინახე. შინ დავბრუნდი.

ლოგინში ჩაწოლილს აპრილის ის დღე მომაგონდა, პირველად რომ ვიხილე ევკალიპტის ხეებთან. ირხეოდნენ და შრიალებდნენ ევკალიპტის ვერცხლისფერი ფოთლები და იმ ფოთლებთან ერთად შრიალებდა მისი ცისფერი კაბაც. გაცნობამდე არ ველოდი მისგან ალერსს, თანაგრძნობას, მაგრამ მაინც მიხაროდა, რომ მიყვარდა თინა.

რომ იცოდე, იმ ღამეს რაზე არ ვოცნებობდი... თითქოს მომჯადოებელი ხმა აღმომაჩნდა. თითქოს დავამთავრე კონსერვატორია, ქალაქიდან ქალაქს მივემგზავრები და თან მიმყვება მხურვალე ოვაციები და სიყვარული. გამოვდივარ თეატრში და წინა რიგებში ვამჩნევ თინას. ვმღერი. ჰქუხს დარბაზი. თავს ვხრი აუდიტორიის წინაშე და ვხედავ მას, ალტაცებულსა და აცრემლებულს... შემდეგ ხან მფრინავი გმირი ვიყავი და ღრუბლების მაღლა თვითმფრინავს მივაცურებდი, ხანაც დიდებულ რომანებს ვწერდი. ერთის სიტყვით, ყველგან პატივცემული და დიდი კაცი გახლდით.

დავიღალე ფიქრით და ჩამეძინა.

გამომეღვიძა და რამდენჯერმე ჩუმად, ნაზად წარმოვთქვი: „თინა!.. თინა!.. თინა!.." მერე წამოვჯექი, მძინარე დედას და ძმას დავხედე მორიდებით და როცა დავრწმუნდი რომ ეძინათ, დავმშვიდდი. კვლავ გავიმეორე ძვირფასი სახელი და უხმო, დამათრობელ ოცნებას მივეცი თავი.

სამი დღე არ გავკარებივარ საავადმყოფოს. მჯეროდა: შეწუხდებოდა, მოვენატრებოდი. იდუმალ სიხარულს მგვრიდა ეს. მეოთხე დღეს შევირბინე თინასთან.

მის საწოლთან სამხედრო პირი იჯდა. მზისფერ ხელს უსვამდა ფაფუკ, მთვარისფერ ხელზე.

თინამ რომ დამინახა, რაღაც უთხრა სამხედრო პირს.

— უზომოთ მადლობელი ვარ თქვენი, ჩემი მეუღლე რომ გადაარჩინეთ,— სთქვა და შუბლზე მაკოცა.—მე ვარ მფრინავი-გამომცდელი ლონგი ზამბახიძე.

თავში ლოდდაკრულივით ვუყურებდი მფრინავის მოლისფერ თვალებს. მერე ჩქარი ნაბიჯით გავედი საავადმყოფოდან, და თვით არ ვიცი, რატომ ამოვიღე ბარათი და წავიკითხე ეს სტრიქონები: „სიყვარული? ეს შენივე გულია ვარსკვლავიან, მზიან უსაზღვროებად გაშლილი და ხან სევდიანად, ხან კი აღფრთოვანებით აგალობებული. და რომ არ უყვარდე კიდევაც, მაინც მადლობის ღირსია ის ადამიანი, შენში რომ იწვევს ამ განცდებს".

ღრუბლიან ცას შევხედე. „ვინ იცის, იქნებ მართალია თინა?" — გავიფიქრე ნაღვლიანად. მტკიცედ გადავწყვიტე: ხვალ მივალ ჩემს სეხნიასთან და ვთხოვ: „მინდა გავხდე მფრინავი, დამეხმარეთ!"

ასეც მოვიქეცი, — დაასრულა ამბავი ჯაბადარმა, გაიზმორა და შეწუხდა.

— მტკივა მკლავი. ეჰ... ჩემი ამხანაგები იბრძვიან, მე კი...

— ნუ დარდობ, ჩქარა განიკურნები. დაიძინე. ხვალ კვლავ ვისაუბროთ, ლონგინოზ. ნახვამდის.

— გნახე კარგად.

— ექიმი პალატიდან გავიდა.



მომქმედი არმია. ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტი. მეტყვიამფრქვეველნი ცეცხლს უშენენ მტერს.

საქდესის ფოტოქრონიკა

ფაშისტური გერმანია ბერტოლდ ბრეხტის დრამატიულ ნაწარმოებებში

გერმანელმა ანტიფაშისტმა დრამატურგმა ბერტოლდ ბრეხტმა სახელი მოიხვეჭა შემდეგი პიესებით: „უმაღლესი საზომი", „ჩიკაგოს სასაკლაოების ჟანა დარკი", „ჩუხები და ჩეხები", „მათხოვართა რომანი" და სხვ. ამ პიესებს სოციალური მიმართება ახასიათებთ, მაგრამ ამასთან მათ ერთი ნაკლი აქვთ—რამდენადმე განყენებულნი არიან. მაგალითად, პიესაში „ჩუხები და ჩეხები", სადაც გერმანელი ფაშისტების რასული თეორიაა გამასხარავებული, მოქმედება გადატანილია სამხრეთ ამერიკული რესპუბლიკის მაგვარ სადღაც უცნობ ქვეყანაში.

ბრეხტის პატარა დრამატიულ ნაწარმოებთა სერიას სხვაგვარი, უფრო რეალისტური ხასიათი აქვს. ყველა ამ პატარა პიესისა და სცენის მოქმედება სწარმოებს ფაშისტურ გერმანიაში. ისინი უშუალოდ, პირდაპირ სცემენ სახეში ფაშიზმს, ამხელენ რა მის უმსგავსოებას.

მკითხველისა და მაყურებლის თვალწინ მოძრაობს მუშების, ინტელიგენტების, მოხელეების, მეშჩანების, ბავშვების, ფაშისტ მოიერიშეებისა და ჟანდარმების მთელი „უმწყობრო პარადი"—აღვირახსნილი ძალადობის, დაუნდობელი შურისძიების, ჯაშუშობისა და მატყუარობის, შიშის, საყოველთაო შიშის სამყარო, სადაც ეშინიათ არა მარტო უფლებამოსილთ ბატონებისა, არამედ ერთმანეთისაც, რადგან სულიერად და ზნეობრივად გახრწნილ ამ ქვეყანაში შეიძლება ყოველი კაცი გამცემი აღმოჩნდეს. საქმე ისაა, რომ თავათ ფაშისტებსაც კი ეშინიათ ხალხის შურისძიებისა: ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე მოხუცის სუსტი ხმაც კი ღამის მყუდროებაში შიშსა ჰგვრის და აცახცახებს საიდუმლო პოლიციის აგენტებს, (სცენა „ხალხის ერთიანობა").

მოიერიშეებს ერთ ოჯახში მიაქვთ თუნუქის ყუთ—კუბო მათ მიერ ნაწამები მუშის გვამით. მოკლულის ცოლი და ბავშვები ვერა ჰბედავენ თავი ახადონ ყუთს, რადგან შეიძლება ამით თავიანთ მახლობლებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან, ასეთივე ხვედრი განუმზადონ („ყუთი"). მუშა, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკიდან განთავისუფლებულ ამხანაგს შეხვდა, გაურბის სერიოზულ საუბარს მასთან იმის შიშით, რომ შეიძლება ამ ამხანაგმა ვერ გაუძლო წამებას და გამცემი გახდა. განთავისუფლებულს ესმის თვისადმი ასეთი დამოკიდებულება და ამბობს: „ვფიქრობ, რომ შენ მართალი ხარ" („ბანაკიდან განთავისუფლებული"). ერთ ღარიბ დედაბრისათვის მოიერიშეებს მიაქვთ „ფიურერისაგან" გაგზავნილი ამანათი (ვაშლები და კარტოფილი), მაგრამ იქვე აპატიმრებენ ამ დედაბრის ქალიშვილს, რადგან მას წამოცდა ორიოდე სიტყვა სიძვირეზე („საზამთრო დახმარება"). მეცნიერები, რომლებიც ვიწრო სპეციალური პრობლემების შესწავლაზე მუშაობენ, იძულებულნი არიან კონსპირატული სამეცნიერო მიწერ-მოწერა აწარმოონ მათს სფეროში, ცნობილ ავტორიტეტებთან, რადგან შიშობენ—ებრაულ ჯამბაზობაში არ დაგვდონ ბრალიო („ფიზიკოსები"), ასეთია იმ პატარა სცენების სიუჟეტები, რომლებიც მხოლოდ ათეულ რეპლიკას შეიცავენ.

ბრეხტს აქვს შედარებით მოზრდილი, ერთმოქმედებიანი დრამატიული ნაწარმოებები. შესანიშნავია პიესა მოსამართლეზე, რომელიც მოიერიშეების საქმოსნებისა და გავლენიანი პირების ინტერესთა დაჯახების რთულ ხლართში მოჰყვა: როგორც არ უნდა გადასწყვიტოს საქმე, მას უსიამოვნება მოელის: „გადავწყვეტ ან ასე ან ისე, როგორც მიბრძანებენ,—ამბობს მოსამართლე,—მაგრამ უნდა ვიცოდე, რა მაქვს ნაბრძანები. თუ ეს არ ვიცი, მართმსაჯულება არ იქნება" („მართლმსაჯულება"). მეორე პიესაში ცოლ-ქმარს ეშინიან საკუთარი ბავშვისა, მოწაფისა („მისგან მოითხოვენ ენა მიუტანოს ყველაფერზე, რასაც გაიგონებს, — ამბობს დედა თავის ბავშვზე") და იხსენებენ ბავშვის თანდასწრებით თქმულ ყოველ სიტყვას, რომელიც შეიძლება საშიში აღმოჩნდეს („ჯაშუში").

მაგრამ ფაშიზმის მიერ ჩაწიხლულ გერმანიაში არიან ისეთი ადამიანები, რომელთა მოქმედებასაც ამოძრავებს სხვა სულისკვეთება, სხვა ძალა. ეს არის ვაჟკაცობა და წინაამდეგობის გაწევის სურვილი. ეს სჩანს ბრეხტის პიესებში სიკვდილ-მისჯილი პოლიტიკური პატიმარი ანდერძს უტოვებს შვილს: „ქვეყნად არ არსებობს იმაზე მაღალი ამოცანა, როგორიც არის კაცობრიობის განთავისუფლება მჩაგვრელთა უღლისაგან" („პლებისციტი").

თავისი პატარა პიესებით ბერტოლდ ბრეხტი გვევლინება, როგორც სააგიტაციო დრამატურგიის ოსტატი. მშრალი მსჯელობა, მიდრეკილება აბსტრაქტული, ლოგიკური დასკვნებისაკენ, რაც ახასიათებდა მის წინანდელ პიესებს, შესცვალა ცხოველმა გრძნობამ და ადამიანთა რეალური ცხოვრების შეგრძნობამ. პატარა პიესებში ბრეხტი ჩვეულებრივ ფონად ყოველდღიურობას ღებულობს და მასში გვიჩვენებს საზოგადოებრივი ყოფიერების მამოძრავებელ ძალებს. თუმცა აქაც არის ლოგიკა—ეს არის მოვლენებისა და ბრძოლის ლოგიკა. ზოგჯერ კონფლიქტი ბრეხტის პატარა პიესებშიც იშლება, იშლება იმდენად არა მოქმედებაში, რამდენადაც განსჯათა შეჯახებასა და განვითარებაში. მაგრამ ამ ლოგიკურ თამაშს ბრეხტი ისეთ მიწიერ სამოსელში ხვევს, რომ იგი მთელი სიმწვავით ლახვრავს მტერს (მაგალითად, „მართლმსაჯულებაში").

ბრეხტი ძლიერია როგორც დრამატიულ, ისე კომედიურ სცენებში. ერთსაც და მეორესაც ახასიათებს უბრალოება, სიუჟეტური სისადავე, ცხოვრებიდან მიღებული საქმიანი, ულმობელი დასკვნები. ბრეხტი მკითხველისა და მაყურებლის წინაშე ფაშიზმს ამჟღავნებს ისე, როგორიც ის ნამდვილად არის. ამ პიესებს მკითხველი და მაყურებელი ერთადერთ გადაწყვეტილებამდე მიჰყავს: უნდა ვიბრძოლოთ მანამდე, სანამ ფაშიზმი მოსპობილი არ იქნება.

ა. ფევრალსკი

კასიანის ტყვია

ივ. იოსელიანი

I

თოვდა. ექვს ნოემბერს კასიან მირონოვმა,—ვინ იფიქრებდა, — პარიზიდან წერილი მიიღო. ლორიგანით გაჟღენთილ კონვერტს ორი ფურცელი მოჰყვა, ორივე წვრილი ხელით დაგვირისტებული. თოვლივით თეთრი ქაღალდის პირველ სტრიქონს მზესუმზირასავით დაჰყურებდა ოქროსფერი გვირგვინი. ოცი წლის წინათ უცხოეთში გაქცეული თავადი წერილს უგზავნიდა თავის ყოფილ მეღორეს.

უკანა ოთახში ცოლს საკერავი მანქანის რახრახი აუკრძალა, კარი მიიხურა და ის წერილი სამჯერ წაიკითხა.

ილია უვაროვი!.. ჰმ!.. ეს სახელი მას დავიწყებული ჰქონდა ძველი სიზმარივით. სულძაღლი, თურმე ცოცხალი ყოფილა!

და უცებ მოაგონდა იგი, შუატანისა და ტანივით მსუქანი. წლობით გადაკარგული, თავის სოფელს დამშეული მგელივით მოაკითხავდა უცხო ქვეყნის ლამაზებით. ქალების მუსუსი, არც აქაურ გოგოებს იწუნებდა მაინც და მაინც...

სასახლის წინ გუბურა სავსე იყო თეთრი გედებით და მოცლილი თავადი თავს ირთობდა მათი დაპურებით. უყვარდა ძაღლები და ბევრჯერ უთქვამს, ჩემს გორდონს ათ გლეხში არ გავცვლიო. მაშინ თვრამეტი წლის კასიანი ღორებს ედგა. ახალი წლის მოსალოცავად მისული, ოთახიდან ტატანით გააგდო, ღორის სუნი შემოგყვაო.

ისიც ახსოვს კასიანს: ერთხელ, ქარიან ღამეს, ხანძარმა შვიდი მოსახლე გააუბედურა. მეორე დღეს ჭიშკრიდან სასახლის კიბემდის დაჩოქილი მოფორთხდა იმ შვიდი ქოხის დიდი და პატარა. კარგა ხანს იდგნენ უხმოდ, მოწყალების მოლოდინში, მაგრამ თავადმა ვერც პური გაიმეტა, ვერც ხის მასალა...

სიყვარულით დაღლილმა ცოლი მაშინ შეირთო, როცა წაბლისფერ თმაში თეთრი შეეპარა. იმ წელიწადს ომი დაიწყო და კასიანი ღორებს მოაშორეს. გავიდა ხანი. კარპატებში დაჭრილი ორი თვე ტარნოპოლის ლაზარეთში იწვა. შემდეგ ისევ ტალახიან თხრილებში გდება, შიმშილი, ტილები და, ბოლოს, ფრონტის დაშლა. სოფელში დაბრუნებულს თავადის გაქცევა ახარეს. ხელფეხის ცახცახი ასტეხოდა ცოდვით სავსეს. ოღონდ სიცოცხლე მაჩუქეთ და ყველაფერი თქვენი იყოსო... ხელი არ უხლიათ.

ახლა, ოცი წლის შემდეგ, ისევ გათამამებულა და იმუქრება.

— ნეტავი მართლა მოვიდოდეს! — ინატრა კასიანმა: ერთ ტყვიას როგორ ვერ იშოვნის, შიგ შუბლში რომ მიაჭედოს.

მაგიდის უჯრაში ხელი შეჰყო და მიაგნო. ამ ვაზნას იგი დიდი ხანია ინახავს, როგორც ჩაპაევის დივიზიაში ყოფნის დაუვიწყარ ხსოვნას. თეთრების ხელში ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ერჩია და ეს ერთი ტყვია თავისთვის ჰქონდა გადანახული. ამოიღო, სიყვარულით შეავლო თვალი და, ქაღალდში გახვეული, ფრთხილად შეინახა.

შემოდგომის ნისლიან დღეს მალე მოჰყვა ბნელი ღამე. სძინავს თოვლში თამაშით დაღლილ პავას. სადღესასწაულო მზადებით მოქანცულ ცოლსაც ჩასძინებია. კასიანი მიუჯდა მაგიდას. ჯერ შუბლი მოიფხანა, როგორც ეს სჩვეოდა წერის წინ, მერე კალმისტარს რკინის თითები ჩასჭიდა და დაიწყო. მრისხანებით ნაკარნახევი სტრიქონები ძალდაუტანებლად მიჰყვნენ ერთიმეორეს.

* * *

ოქტომბრის ოცი წელი ახლაც უვაროვის ყოფილ სასახლეში იზეიმეს. ყველაფერი ხელს უწყობდა სახალხო დღესასწაულს: მოულოდნელი გამოდარება და სანატრელად ქცეული მზის ყუყუნი ოდნავ წაყინულ თოვლზე, მიმავალი წლის კარგი მოსავალი, საერთო ჟრიამული და დილით გადაკრული არაყი, რომელმაც ქვეყანას ფერი უცვალა.

ახალგაზრდებით გაჭედილ ეზოში იყვნენ თეთრწვერა მოხუცებიც. სახლის წინ უცებ წრე გაკეთდა. კეფაზე ქუდმოგდებულმა ქოჩრიანმა გაჭიმა გარმონი და ჰაერში მხიარული კამარინსკაია დაირხა:

— აახ-ტი სუ-კინსინ კამარინსკი მუ-ჟიკ!...

როცა ნელი ტემპით დაწყებულ სიმღერას ცეცხლი წაუკიდეს, ზოგს თითქოს თავის-თავად აუთამაშდა ფეხები. ვიღაცამ გოპაკი შეუკვეთა და სწორედ ამ დროს წრესთან მიჯრილ სოფლელებს ჯამბაზივით გადაახტა ფეხმარდი ტიმოხა. დამკვრელის წინ ზედიზედ ჩაბუქნა, ჯარასავით დატრიალდა და დოინჯშემოყრილი, ფეხების ტკაპა-ტკუპით გაჰყვა წრეს.

— ჰოპ-ჰა! ჰოპ-ჰა!.

ქალების ჯგუფიდან კაბის ფრიალით და ბეჭების რხევით გამოგორდა ამ სოფლის თვალი—ლუკიანა. გახურდა თამაში. მოჩოჩდნენ მოხუცები და ერთმა, ყველაზე უფრო გადაყრუებულმა, უკანასკნელად შესცოდა ღმერთს ამ შეჩვენებულის დანახვაზე.

ცეკვას მოჰყვა „დუბინუშკა", „კალინკა-კალინკა", სიმღერა ტაგანროგში მოკლულ კაზაკზე... ეზოში ზეიმი სარატოვული შაირებით დასრულდა. ბერენდეის ვასილისამ ბევრი დაასნეულა ბულბულის ხმით. მკაში პირველს სიმღერაშიც ბადალი არა ჰყავს. მალე გათხოვდება და რა ეშველება ამ სოფელს, თუ ეს ტოროლა შორს გადააფრინეს!

სასახლის ქვემო სართული სკასავით ზუზუნებს. კლუბი, უვაროვის ყოფილი სასტუმრო დარბაზი, სავსეა სოფლელებით. პირველი ადგილები მოხუცებისა და მოწინავე ადამიანებისათვის დაუთმიათ. აქ არიან ორდენოსანი მწველავი ევდოკია და მეცხენეობის ფერმის ბრიგადირი კუზმა ჩიგირი, ვისაც საუკეთესო ცხენების გაზრდისათვის თვით ბუდიონიმ ჯილდო და მადლობის წერილი გამოუგზავნა...

საზეიმო სიტყვები უკვე წარმოსთქვეს, სკოლის მომღერალთა გუნდმა „ინტერნაციონალი" სამჯერ შეასრულა და ხალხი დაშლას აპირებდა, როცა ნაძვით მორთულ ტრიბუნაზე არტელის თავმჯდომარე დაინახეს. საჯაროდ ლაპარაკს ჩვეული არ იყო და ზოგს კიდეც გაუკვირდა.

— ამხანაგებო, კასიან მიხეიჩს სიტყვა აქვს, სიჩუმე!

მიხეიჩმა ხმის გასაწმენდად მუჭაში ჩაახველა.

— მე, ძმებო, ახალი ამბავი მაქვს სათქმელი და ცოტა ყურადღება!

— გისმენთ მიხეიჩ, დაიწყე!

— გუშინ,—უბიდან რაღაც თეთრი ამოიღო და ყველას დაანახვა, — აი ეს წერილი მივიღე პარიზიდან.

— ოჰო!

— მერე იცით, ვინა მწერს?... ვერ მიხვდებით!.. ჩვენი ყოფილი ბატონი ილია უვაროვი.

ამ სახელის ხსენებაზე მოხუცებს სახე მოეღრუბლათ. ერთმა ვერ მოითმინა და მადიანად შეუკურთხა. ახალგაზრდები მხიარულ გუნებაზე დადგნენ.

— ხუმრობს.

— დაუჯერებელი ამბავია!

— ყველაფერი მოსალოდნელია. წაგვიკითხე, თუ შეიძლება!—დაიძახა ყველაზე უფრო დაეჭვებულმა.

— რატომაც არა. მხოლოდ ეს საქმე ამხანაგ ჩიბისოვს დავავალოთ.

სოფლის მასწავლებელმა წერილი გამოართვა, ტყავის ბუდიდან სათვალე ამოიღო და მოემზადა.

ყველამ ხმა გაკმინდა.

კითხულობს: „კასიან მიხეიჩ, წინათ ერთგულო გლეხო, ახლა კი ღვთისა და ქვეყნის მოღალატევ! გიჟების ფეხის ხმას აჰყოლიხარ, შე უბედურო, გონს მოდი! თავი თუ მოგბეზრებია, ცოლშვილი მაინც გებრალებოდეს. განანებთ თავის აგდებას! რა უფლებით დაეპატრონეთ ჩემს ხუთიათას დესეტინა სახნავ-სათეს მიწას და ორიათას დესეტინა ტყეს? გაგიტკბათ განა სხვისი ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობა? არ შეგარგებთ ყაჩაღებო! მაგ ჩემს სასახლეში რომ შესულხართ ტალახიანი ჩექმებით, განა ეს ლამაზია?!.

სად არის ჩემი პაპისეული სპილოს ძვლით მოჭედილი სავარძელი? გადამალეთ? არაფერია! თქვენივე ხელით მოგატანინებთ.

სოფლისთვის სახელი რომ გამოგიცვლიათ, ვინ მოგცათ ამის უფლება? უგნურებო, ხომ იცოდით, რომ ეს სოფელი ნეტარხსენებულმა პავლე პირველმა აჩუქა ჩვენს გვარს ერთგული სამსახურისათვის.

ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია გაგიუქმებიათ. მისი რისხვა იყოს თქვენზე, თქვენს შვილსა და შვილიშვილებზე? სარწმუნოებასა და ნამუსზე ხელი აგიღიათ. რას აპირებთ, როცა წარსდგებით საუკუნო სამსჯავროს წინაშე! და იტყვის მამა ღმერთი: „ჯოჯოხეთი განუმზადეთ ამათ, რამეთუ წუთისოფელში ყოფნისას არ ასრულებდნენ ჩემს მცნებას".

არც ამ ქვეყნად დაგადგებათ კარგი დღე. გადაეცი მთელ სოფელს ჩემი გაფრთხილება: ხელი არ ახლონ ჩვენს საგვარეულო აკლდამას, ადგილიდან არ დასძრან ძვირფასი მარმარილო, თორემ განანებთ! სამშობლოს სიყვარული რომ არ მაწუხებდეს, აქაც არაფერი გვიშავს. შევიძლიან ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენს გვარს შეჰფერის. მაგრამ ჩვენ მალე დავბრუნდებით, მოვყვებით საკუთარ ჯარს, რომელიც ცეცხლითა და მახვილით გაგვიკაფავს გზას. ოო, რა ულმობელი ვიქნები მაშინ! თოკით ჩამოგკიდებთ ყორნებისა და სვავების საკორტნავად! ჯერ კი ნახვამდის! თავადი ილია უვაროვი".

მასწავლებელმა წერილის კითხვა დაამთავრა და სკამებზე ჩამწკრივებულ გლეხებს გადაჰხედა. არასოდეს არ უნახავს მას ამდენი თვალებ-ანთებული სახე. ისინი მსხვერპლის მოლოდინში ჩასაფრებულ აფთრებს ჰგავდნენ.

— კი, მაგრამ,—დაარღვია ბოლოს სიჩუმე ერთმა გლეხთაგანმა,—რა ეკადრება მაგ ძაღლიშვილს ასეთი წერილისათვის?.

— სიკვდილი!—წამოიძახა კუზმა ჩიგირმა.

— მოითმინეთ!—წამოდგა ისევ კასიან მირონოვი,—ახლოს რომ იყოს, მე ვიცი, რაც ეკადრება. ცხრა მთას იქით გადაკარგულს რას უზამ? პასუხი დავწერე და ჯერ-ჯერობით ეს ვაკმაროთ. თუ მოისმენთ, მე თვითონ წაგიკითხავთ.

ამ სიტყვებმა ყველა დაამშვიდა.

— მწარედ, მიხეიჩ, რაც შეიძლება მწარედ!

კასიანმა მუჭაში ჩაახველა.

— ასე ვწერ: „ჩვენი ქვეყნიდან გაქცეულო ტურავ! ალბათ, მოგშივდა, რომ მოგვიგონე. მწარედ იკბინები, მაგრამ რაღა შეგიძლიან მოცვეთილი კბილებით! ჩვენს ძვლებს აწი ველარ დახრავ ძველებურად. შორიდან კბენით ვერაფერს დაგვაკლებ. რაკი კბენა ვერ მოგიშლია, რა გაეწყობა, მოდი და რბილ ადგილზე გაკბენინებთ...".

დარბაზში თავშეუკავებელი ხარხარი ატყდა.

„ტყე და სახნავი მიწა მოგნატრებია. არც ამაზე გეტყვით უარს. თუ ჩამოხვალ, მიწას გათხრილს დაგახვედრებთ.

ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ჩვენი ტვინის მისაძინებლად გქონდა აგებული. თვითონ კი ერთხელაც არ ყოფილხარ შიგ ან რად გინდოდა, როცა სამოთხე ამ ქვეყნად გქონდა? ახლა ეს სამოთხე ჩვენია, არავის დავუთმობთ. ჯოჯოხეთით კი ბებიაშენი შეაშინე.

ერთი ცოდვა კი ჩავიდინეთ შენს წინაშე, რაშიაც მე, მიხეიჩს, დანაშაული არ მიმიძღვის. ჩემი მეზობლების ბრალია: ცოცხალი არ უნდა გაგვეშვი აქედან...".

— მართალია, მართალი! — აგუგუნდა დარბაზი.

„ჯარით მოვალ, ულმობელი ვიქნებიო",—გვემუქრები. სცადეთ! ჯარს ჯარი დახვდება, შენთვის კი ერთ ტყვიას შევინახავ. ისიც გეყოფა.

სოფლის დავალებით გწერს კასიან მირონოვი".

კასიანის სიტყვები ყველას ძალიან მოეწონა და გადასწყვიტეს: წერილი დაუყოვნებლივ გაეგზავნოს უვაროვს, ასლი—გაზეთ „პრავდას".

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 43465